

სპორტიელი

ეროვნული
ნიშნით

სპორტული გაზეთი

პარასკევი 19 ოქტომბერი 2001 №200 (1473)

ფასი 50 თეთრი

მილანმა მართველი შეინახა



ფრაიბურგი — სენტ გალენი. ალექსანდრე იაშვილი (№9) და ფრაიბურგელებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ შვეიცარიის 0:1-ით წაგლენ

REUTERS ფრაიბურგ ია.ნ



UEFA CUP

გუშინ უეფას თასის მეორე ეტაპის პირველი მატჩები გაიმართა. ტურნირს შემორჩენილი გუნდები ჯერ ბევრნი არიან, ამიტომ ჩვენ ჩვენებისა ვთქვათ, სხვებისა სხვებმა იკითხონ.

ქახა ქალაძის „მილანმა“ ბულგარულ არმიულებს სძლია. სასიამოვნოა, თუმცა ქლასში სხვაობის გათვალისწინებით, ასეც უნდა ყოფილიყო.

დანარჩენ ჩვენებურთა კი რა მოგახსენოთ...

ლევან მიქაძის კიევის ცსკა შინ დამარცხდა ბულგურ „ბრიუგესთან“ და შემდეგ ეტაპზე გალჩევის შანსიც ფაქტობრივად დაკარგა.

კიევულთა მსგავსად 0:2 წააგო „ჩელსიმ“ თელ ავივის „ჰაპოლთან“, მაგრამ ლონდონელები სტუმრად, თან შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდნენ, რაც გვაფიქრებინებს, რომ სა-

პასუხო მატჩში ბევრად უკეთ ითამაშებენ. რატი ალექსიძე „ჩელსის“ სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

ლევან ცქიტიშვილის, ალექსანდრე იაშვილისა და ლევან კობიაშვილის „ფრაიბურგი“ კი შინ დამარცხდა შვეიცარიულ „სენტ გალენთან“. მარცხი მით უფრო საწყენია, რომ ფრაიბურგელებმა ერთადერთი გოლი ბოლო წუთზე გაუშვეს. ისე, „სენტ გალენი“ ცუდად გადაუკიდა ქართველთა გუნდებს. შარშანდელი უეფადან მან „ჩელსი“ გააგდო და სწორედ მაშინ შედგა რატი ალექსიძის ინგლისური დებიუტი. იმედი ვიქონიოთ, რომ ფრაიბურგელები საპასუხო მატჩში იყოჩაღებენ და ევროთასებს შემორჩენილი უმცირესი ქართული ლეგიონი კიდევ არ შეთხელდება.

იხილეთ მეორე გვერდი

უფასო თასი. მეორე ეტაპი პირველი მატჩები




მილანი (იტალია) 2:0 ცსკა (ბულგარეთი)
 81 რუი კოშტა (19), 20 შეფერენო (51)
მილანი: აბიატი, კონტრა, როკე ფონიორი, კოსტაკურტა, მადდინი, ალბერტინი (გატუზო 46), ბროკი, კაშტატი, რუი კოშტა (ბირლო 84), შეფერენო, ფ. ინაგი (სერენიო 46)
 მწვრთნელი: ფაბიო ბარბერი
 მსაჯე: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)
 6 759 მყურებელი

ურაბიშურბი (გერმანია) 0:1 სენტ პალენი (შვეიცარია)
 01 მოკონა (90)
ურაბიშურბი: გოლცი, კონდე, დიარა, კელი, ცმინიშვილი (ვილი 82), ა. ცაიერი (რამდენე 72), კონიშვილი, ტანვი (ვ. ბუტი 46), კულიბალი, სელიმი, იბრაჰიმი
 მწვრთნელი: ფოლკერ ფინცე
 მსაჯე: ვლადიმირ პრინატი (სლოვაკეთი)
 18 900 მყურებელი

კაპოლი (თელ ავივი, ისრაელი) 2:0 ჩელსი (ინგლისი)
 01 გერმონი (89), 20 კლემენცო (90)
ჩელსი: ბოსნიჩი, მელბორი, ტერი, ბაბაიარი, კოტეშივი, სტანიჩი, ლამბარდი, იოკანოვიჩი, ზენდერი (დალა ბონა 56), მოლა, პასელბაინი (ფორსელი 81)
 რატი ბლემსიშ სათადარიგო იყო
 მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
 გაყვება: მელბორი (53)
 მსაჯე: დიკ ვან ეგმონდი (ჰოლანდია)
 17 000 მყურებელი

ცსკა (უკრაინა) 0:2 ბრიშვი (ბელგია)
 01, 02 ვერპინი (33, 47)
ცსკა: კრონოზენკო, მილცევი, ანტონოვი, კირლიკი, ბელიზორი, ლ. მიძიშვილი, ზაკაროვი, კოსტინი (კოსტინი 60), ფოლოსიანი, ტკაჩენკო (ბონდარენკო 78), ბალიცკი
 მწვრთნელი: ივანე კუნცევიჩი
 მსაჯე: მიკო ვუორელი (ფინეთი)
 7 500 მყურებელი

გლავა რეინსპირსი (შოტლანდია) 3:1 ლინსი (რუსეთი)
 01 ლ. ამორუზი (9), 20 ბოლი (61), 30 რ. დე ბური (80), 31 გუსევი (90)
კოპენჰაგენი (დანია) 0:0 აიაქსი (ჰოლანდია)
ლუგანი (პოლონეთი) 1:1 პალენსი (ესპანეთი)
 01 კარანი (12), 01 ა. ილიე (63)
ბორდო (საფრანგეთი) 2:0 სტანდარდი (ბელგია)
 01 პულეტი (6), 20 კრისტინი (33)
ვიორენტი (იტალია) 2:0 ტიროლი (ავსტრია)
 01 მორფი (47), 20 ნუნო გომეზი (85)
იუსკი თაუნი (ინგლისი) 0:0 კელსინგტონი (შვედეთი)
პარი სენ შერმენი (საფრანგეთი) 4:0 რაპიდი (ავსტრია)
 01 რონალდინიო (16), 20 მენდი (27), 30 ანელა (55), 40 რონალდინიო (60)
უნიონი (გერმანია) 0:2 ლიტმენი (ბულგარეთი)
 01 ბორისოუსოვი (50), 02 მარინ ბეტროვი (90)
ინტერი (იტალია) 2:0 ვინსი (პოლონეთი)
 01, 20 კალინი (61, 64)
პარტი (საბერძნეთი) 6:1 პრაჰიბრაში (ჩეხეთი)
 01, 20 იასემისი (22, 27), 30 ოკასი (38), 40 პ. კონსტანტინიდი (50), 41 პ. ზიგლი (56), 51 დე სოუზა (75), 61 ოკასი (88)
კალმსტადი (შვედეთი) 0:1 სპორტიინგი (პორტუგალია)
 01 მ. ნიკოლაე (54)
 გაყვება: მ. კარლსონი (45, „პალმსტადი“)
სარაბოსი (ესპანეთი) 0:0 სერვიტი (შვეიცარია)
ლილს იუნაიტედი (ინგლისი) 4:2 ტრუა (საფრანგეთი)
 01 ვიდუა (6), 20 ბოიერი (23), 21 ლოვი (31) 31 ვიდუა (44), 41 ბოიერი (46), 42 ლოვი (81)
 გაყვება: მენი (49, „ტრუა“)
უტრახტი (ჰოლანდია) 1:3 პარმა (იტალია)
 01 დი ვაიო (21), 02 ბონაოლი (54), 03 დი ვაიო (69), 04 იოკონი (76)
ოსინი (ხორვატია) 1:2 პარტი (საბერძნეთი)
 01 ზაგორაკისი (13), 02 თ. ნიკოლაიდი (71), 03 მ. მიატოვიჩი (72)
 გაყვება: ბელიზორი (90, „ოსინი“)
გრავა სპორტიინგი (შვეიცარია) 4:1 ტენტი (პოლონია)
 01, 20 ნინი (29, 33), 30 ბეტრი (56), 31 პოლაკი (70), 41 ნინი (90)
პარტი (ხორვატია) 3:1 ბრონდოვი (დანია)
 01 ბილანოვიჩი (64), 20 მუშევი (78), 21 ნინი (81), 31 ვ. კარი (84)
სელტა (ესპანეთი) 3:1 ლინსი (რუსეთი)
 01, 20 მოსტოვი (34, 75), 21 ვიდუ (66, 75), 31 მოსტოვი (89)



ლეგია — ვალენსია. სტუმარ ვისენტე როდრიგესს ბოლონელები მწარედ გაუმასპინძლდნენ



პაპოელი — ჩელსი. ებრაელთა კაპიტნის შიმონ გერშონის პენალტი ზუსტი იყო



მილანი — ცსკა. ანდრე შეფერენო (მარჯვნივ) უგოლოდ არ დარჩა

თეზური და მისი დანდი

ქეცბაია სქოთ ქართველებს უფურთდა

მიმდინარე სეზონის ბოლომდე „გულვერპეპტონიდან“ მოკეთილი თეზური ქეცბაია შოტლანდიურ „დანდის“ ითამაშებს — ასეთია ამ ბოლო ხანს „გაქართვებულ“ კლუბსა და 33 წლის ნახევარმცველს შორის გუშინ გაფორმებული ხელშეკრულება. გუშინვე დანდელთა მესამე ქართველმა უკვე ახალ თანაგუნდელებთან ერთად ივარჯიშა.

ბრიტანეთის ჩრდილოეთში ჩასულმა ქეცბაიამ იქაურ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მოხარულია მიღწეული შეთანხმებით და შეეცლება „დანდის“ ევროთასებზე გასვლაში დაეხმაროს. „თქვენი გუნდის გარდა კიდევ ორი მიწვევა მქონდა. აქედან ერთი აშშ-დან, მაგრამ აქ გადმოსვლა ვარჩევ ვიცი, რომ შოტლანდიაში ორი დიდი კლუბია, რომელთაც ვერავინ შეედრება, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ივანო ბონეტის დიდი გეგმები აქვს. სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, ცხადია, ჩემს თანამემამულეებსაც ვესაუბრე“ — თქვა თეზურმა და ხუმრობით დაყოლა, პირველი დივიზიონიდან პირდაპირ პრემიერლიგაში აღმოვჩნდი და რატომ არ უნდა მიხაროდესო.

შეგახსენებთ, რომ „დანდის“ იტალიელ მწვრთნელს აქამდეც სურდა „ნიუკასლს“ და „ვულვზში“ გამობრძნული ქეცბაიას გადაბრუნება, მაგრამ პირველი ცდა ამოიგო. მას მერე კი, რაც „მგლებს“ თავაკცმა დიევ ვიუნსმა „ჯილინგებთან“ მატჩისას მოხ-



თეზურ ქეცბაიას „დანდის“ მისურა მოაზომეს

დარი ინციდენტის გამო ქართველი ტრანსფერზე დააყენა, სქოთებს ხელფეხი გაეხსნათ და ავერ, კონტრაქტზე შედგა. როგორც ბონეტი აცხადებს, მას იმედი აქვს, რომ ქეცბაია ტრავმირებული ნემსაძის ადგილს დაიკავებს და ღირსეულად შეცვლის „დანდის“ ქართველ ლიდერს.

რაც შეეხება სატრანსფერო თანხას, „გულვერპეპტონის“ შოტლანდიელებმა გამოცდილი ნახევარმცველის ხელში ჩასაგდებად 500 ათასი გირვანქა გადაუხადეს. არადა, შარშან „ვულვზმა“ ქე-

ცბაიას სანაცვლოდ „ნიუკასლს“ 900 ათასი გირვანქა ჩაუთვალა. იმ სეზონში თეზური, ასე თუ ისე, გუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრად ითვლებოდა, წლეულს კი, ავვისტოდან მიყოლებული, მან სულ ერთხელ ითამაშა, „მგლების“ სასტარტოში, ორჯერ კი „უოტფორდთან“ და „კოვენტრიისთან“ შეცვლაზე შევიდა. ამით გაგულიანებულმა ვეტერანმა „ჯილინგებთან“ მატჩის წინ გასახდელის კარი გაიჯახუნა და... ავერ „დანდისში“ აღმოჩნდა.

გიგა კობახიძე



ლიდისი — ტრუა. ლიდისელმა მარკ ვიდუკამ (169) საგოლედ ორჯერ მოიჭია

REUTERS ფოტოგრაფიდან

REUTERS ფოტოგრაფიდან

REUTERS ფოტოგრაფიდან

დღევანდელი დღე უმნიშვნელოვანესია საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრების მწვრთნელისთვის და იმ ჭაბუკებისთვის, ჩვენი გუნდის ღირსებას რომ იცავენ. ქართველი ჩვიდმეტწლამდელნი დღეს ებრაელ თანატოლებს ხვდებიან და ერთი ნაბიჯი რჩებათ სანუკვარ მიზანამდე. მიზანი, რაღა თქმა უნდა, დანიაში, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაა. საამისოდ ქართველებმა დღეს არ უნდა წაავონ ებრაელებთან. დიახ, ჟორჟიკაშვილის გუნდს დღეს ქულაც ჰყოფნის თავი ქულში რომ დაიგულოს. ერთი შეხედვით, ქართველებს უფრო იოლი ამოცანა აქვთ გადასატრელები, მაგრამ ებრაელებისაც ვიკითხოთ, მათ ხომ დასაკარგი არაფერი აქვთ, ერთი კონკრეტული მატჩის მოგება მართებთ და გზა ხსნილი აქვთ. ასეთ დროს გაუმართლებელია, მწვრთნელებმა ქართველებს ფრე დაუსახონ მიზნად, გამოუცდელ, ვერ კიდევ დაუღებებელ ახალგაზრდას ვერ მოსთხოვ მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის ითამაშოს, რომ არ წაავონ.

კობა ჟორჟიკაშვილი ახალგაზრდა მწვრთნელია, მაგრამ მოზარდებთან მუშაობის გარკვეული გამოცდილება აქვს, ფსიქოლოგიურ მომენტს ამიტომაც ანიჭებს დიდ მნიშვნელობას.

ჩემთვის და ჩემი ბიჭებისთვის ბევრს არ ნიშნავს ის, რომ ისრაელის ნაკრებთან მატჩში ფრეც ხელს ვკადვებს. ჩვენ მოგებისთვის ვიბრძობებით. გუნდის თითოეულ წევრს კარგად აქვს შეგნებული ის, რომ ფეხბურთელი მოედანზე მოსაგებად უნდა გადიოდეს. გადამწყვეტი მატჩის წინ თეორიული მეცადინეობაც ჩავუტარე ფეხბურთელებს და ვფი-

ჩვიდმეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მეთექვსმეტე შეხვედრა

საქართველო — ისრაელი

02:00 ს.მ. ლოკომოტივი, 19 ოქტომბერი, 16 საათი

ერთი ფრეც და, ოჰა! გველოდება ევროპა საქართველო ახალ ისრაელს ნახავს

ქრობ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ყველაფერი რიგზეა. ასე რომ, ებრაელებთან მატჩში მოსაგებად გავალთ მოედანზე — გვითხრა ჟორჟიკაშვილმა.

ჩვიდმეტწლამდელთა თავკაცი გუშინწინ ისრაელ — ბოსნიის ფრედ დასრულებულ მატჩსაც დაესწრო და დღევანდელ მეტოქეზე ბევრი რამ მოინიშნა. ცხადია, ჟორჟიკაშვილის თავისი აკარგით გარკვეულწილად შესწავლილი ჰყავს მეტოქე, იმდენად, რამდენადაც ერთი კონკრეტული მატჩი მისცემდა ამის საშუალებას. თქმით კი მხოლოდ იმას ამბობს, რომ შეკრული, მებრძოლი გუნდი ჰყავთ სტუმრებს და მათთან ქართველებს სიფრთხილე მართებთ.

საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრები სასტუმრო „მესაზღვრეში“ იმყოფება შეკრებაზე. გადამწყვეტი მატჩის წინ გუნდმა გუშინ ივარჯიშა „შეგარდენზე“. ჩვენს გუნდში ტრავმირებული არავინაა. ფეხბურთელები ხალისიანად

ვეღრაში ბაპარის ტაქტიკური ჩანაფიქრი წარმატების მომტანი არ აღმოჩნდა ებრაელთათვის. ქართველთა წინააღმდეგ დღეს, ალბათ, სხვა ისრაელის ნაკრები ითამაშებს.

საქართველო — ისრაელის შეხვედრა „ლოკომოტივის“ სტადიონზე 16 სათზე დაიწყება.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ დღემდე უმცროსი ასაკის ორ ქართულ ნაკრებს

გაულწევია ფინალურ ეტაპზე. მიუხედავად ეს რევანგის თემატიკისა, მდებარეობა მოახერხეს 1997 წელს. ორი წლის შემდეგ კი ვერცარე, რომელიმე ვილმა ათამაშა „მგრამეტწლამდელი“ ირლანდაში ევროპის მწვრთნელის ასე რომ, ბოლო ქართულებთან კლასიკური წელა გასული. ლოგიკურად გასამების ვერია... ვნახოთ

ბაბა კვანტალიანი



ქართველ ჭაბუკებს ევროპაში ერთი ფრე ამორებთ

ბაბა კვანტალიანი ფოტო

რესტორანი მზიანი ღამე

განსაკუთრებული მუშაობა გაუმჯობესებული სარისხით დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე


- * პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
- * გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი სირაკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მოგზაობისთვის, გვიანდელ: კმაყოფილი დარჩებით

ჯორჯანი არ ანერვიულანს

მაიკლ ჯორჯანის ეს პლაკატი თბილისის სპორტის სასახლეშია გადაღებული. იგი ლატარიაში გაათამაშეს. მანამდე კი, როგორც ხედავთ, დიდი კალათბურთელი მადლიან ადამიანებს ტრიბუნისკენ სახით და მოედნისკენ ზურგით დაეყენებინათ. ალბათ, იმიტომ, რომ არ დაენახა ის, რასაც იმ წუთებში, მის ზურგსუკან, თბილისის „მეკაბი“ სწადიოდა, თორემ ნამდვილად იკითხავდა ეს სპორტის რა სახეობათ და როდესაც უბასუსებდნენ, რომ კალათბურთია... ჩვენ კი დიდი მწუხარებით შეგახსენებთ, რომ იმ დღეს თბილისის „მეკაბი“ კორაჩის თასზე სარატოვის „ავტოდორმა“ 14:91 დაამარცხა.



გაფრინი აქტიუმი ჯორჯანი



REUTERS პარიზიდან

დიდი საქმა

საზრანბაში დიდი საქმა გავრცელდა: დაარსდა საფრანგეთის ძიუდოს ეროვნული ინსტიტუტი, რომლის გახსნაზე თვით ქვეყნის პრეზიდენტი, ჟაკ შირაკი მივიდა. ფოტოზე პრეზიდენტი 1996 წლის ოლიმპიურ ჩემპიონ ჯამელ ბურას ართმევს ხელს. აღსანიშნავია, რომ აქამდე ძიუდოს ეროვნული ინსტიტუტი მხოლოდ იაპონიაში არსებობდა.



REUTERS ციურხიდან

ლტოლვილი ნაკრები

ამ ფოტოზე მლოცველებს რომ ხედავთ, ავღანეთის კრიკეტის ნაკრებია. თავად ფოტო პაკისტანის ქალაქ ფეშავარში, ადგილობრივ გუნდთან თამაშის შესვენების დროსაა გადაღებული. ცნობისათვის: ავღანეთის მოკრიკეტეთა ნაკრები ძირითადად იმ სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული, რომლებმაც პაკისტანში ლტოლვილობის დროს ისწავლეს ამ ქვეყანაში ფრიად პოპულარული და განვითარებული სახეობის ანა-ბანა. ახლა ისინი ფეშავარის ტურნირში მონაწილეობენ და ლოცულობენ, ამერიკის შეერთებული შტატები კი ავღანეთს ბომბავს.



REUTERS ფეშავარიდან

ანა და რეგა

რუს ჩოგბურთელ ქალს ანა კურნიკოვას რა ცნობა უნდა, ბარე ორი მამაკაცი ამოიხრავს ხოლმე მის დანახვაზე. აი, ბატონ ნიკოლა აივს კი ანა სულ სხვა მიზნით სჭირდება. ბატონი აიევი კორპორაცია „სუოჩის“ პრეზიდენტი და თავისი ახალი ნაწარმის, ქალთა საათის, „ომეგას“ რეკლამირებით გახლავთ დაინტერესებული. კურნიკოვა „ომეგას“ მთავარი მოდელია, ისევე, როგორც მარტინა შინგისი, ოღონდ ეს უკანასკნელი საერეკლამო ღონისძიებაზე ვერ მივიდა და ამიტომაც არ გახლავთ ფოტოზე აღბეჭდილი.



REUTERS პარაკადან

პელე და მთელი აგზა

ცხადია, პელე მაკრატლით ისეთ ტრიუკებს ვერ აკეთებს, ბავშვობაში ბურთით რომ აკეთებდა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, მექსიკაში ყოფნისას მისთვის მაცმანების გამოჭრა არც ვინმეს უთხოვია. მას ძალიან მარტივი რამ, პარუკას საფეხბურთო უნივერსიტეტის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე ლენტის გაჭრა სთხოვეს. პელეს მარცხნივ იდგაგოს შტატის გუბერნატორი მანუელ ანხელ სოტო დეგას, მარჯვნივ — პარუკას კლუბის პრეზიდენტი ხესუს მარტინეს პატინო. პარუკას კლუბს დააარსებდნენ 100 წელიწადი შეუსრულდა.

თუ ღაგემა, ნუ მიტრებთ დანანებით

კუალა ლუმპურის აერობორტი ქალაქიდან 90 კილომეტრშია და იტალიელ მოტომობილ მაქს ბიაჯისაც ეს ღამაზმანები იქ მიეგებნენ. ისე კი, იტალიელი მალაიზიაში ღამაზმანებისთვის არ ჩასულა, უფრო იმიტომ ჩაფრინდა, რომ იქაურ „გრან პრის“ შეეთამაშოს.



REUTERS კუალა ლუმპურიდან

სარბიელი
საორტული გაზაფთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის საგზაბათს,
ოთხგზაბათს, ხუთგზაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოსცხვირია
დირექტორი გიორგი ოძროშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიალი
ტექნიკური რედაქტორი პასტანა ბუნიკაძე
ფეხბურთის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის
რედაქტორი რედაქტორი მირაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარ-
ჯანია, გიორგი ვაშაქიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე,
მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და

ინფორმაციის რედაქტორი გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია
ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი
ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ ლოლენჯაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალი-
შვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი,
თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა
დევაძე, მავდა დოვრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე,
თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომცემი ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზაგვის გამზირი 42, II
პირაკუსი, IV სართული.
საზოლო მისამართი:
თბილისი — 79, საზოლო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieri@gol.ge
ელექტრონული მისამართი
http://www.sarbieri.com.ge